საქმე დს-შ/3-13 **26 ივლისი, 2013 წელი**
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (მომხსენებელი მოსამართლე),
ნუგზარ სხირტლაძე

სხდომის მდივანი - ქეთევან ბერეკაშვილი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ნ. კ-ი, წარმომადგენელი - მ. ნ-ე

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენლები - ს. ლ-ა, თ. ხ-ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებით, მოქალაქე ხ. კ-ის განცხადების საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების 5.2. მუხლის შესაბამისად, ადვოკატ ნ. კ-ის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ნ. კ-ან რამდენიმე წლიანი ნაცნობობის შემდეგ მათ შორის ჩამოყალიბდა ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები, რის გამოც დათანხმდა 2008 წლის ივლისში ადვოკატისა

და მისი მეუღლის მ. ბ-ის შეთავაზებას, ამერიკაში მყოფი შვილის კუთვნილი ბინის იპოთეკით დატვირთვასა და სანაცვლოდ მიღებული თანხის დაბანდებას მათ მიერ წინასწარ შერჩეულ უძრავ ქონებაში. მან იპოთეკით დატვირთა შვილის კუთვნილი ბინა და მიღებული თანხა - 10 000 ევრო 2008 წლის 6 აგვისტოს, ადვოკატის მითითებით, გადასცა ნ. კ-ეს, რომელიც წარმოადგენდა ქ. ბათუმში, დიასამიძის ქ. 10-ში მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრის - ნ. გ-ას წარმომადგენელს. ნ. კ-თვის გადაცემული თანხიდან ნ. კ-მა და მისმა მეუღლემ აიღეს საშუამავლო თანხა 20%-ის ოდენობით. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მისთვის უცნობი იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შინაარსი, ისე აღმოჩნდა მითითებული უძრავი ქონების მეორე რიგის იპოთეკარი. მოცემული ხელშეკრულების პირველი რიგის იპოთეკარს ნ. კ-ის მეუღლე მ. ბა-ძე წარმოადგენდა. განმცხადებლის მითითებით, იგი არ იყო ინფორმირებული, თუ რას ნიშნავდა მეორე რიგის იპოთეკარი და რა უფლებით სარგებლობდა ის.

საჩივრის ავტორი ხ. კ-ლი 2009 წელს დაინტერესდა საკუთარი სამართლებრივი მდგომარეობით, ვინაიდან ამ დროისთვის ვერ ნახა ვერანაირი სარგებელი და აღმოაჩინა, რომ მისი უფლებები შეზღუდული იყო, რის გამოც უსიამოვნო საუბარი შედგა მას და ადვოკატს შორის. ნ. კ-ი ხ. კ-ს დაემუქრა, რომ თუკი ამ თემაზე საუბარს გააგძელებდა, თანხას ვერ მიიღებდა, ხოლო თუ დააცდიდა, არანაირი ზიანი არ მიადგებოდა. აღნიშნული საუბრის შემდეგ ნ. კ-მა შეადგინა საარბიტრაჟო პრეტენზია, ხ. კ-ს მოაწერინა ხელი, გამოართვა 500 ლარი და 2009 წლის 4 მაისს პრეტენზია თავად წარადგინა კერძო არბიტრაჟში „ი-ი“. ხ. კ-ის განმარტებით, 2009 წლის 15 მაისს ნ. კ-მა, როგორც კერძო არბიტრაჟის „ი-ს” არბიტრმა ხ. კ-ის, როგორც მეორე რიგის იპოთეკარის მოთხოვნა დააკმაყოფილა. საჩივრის ავტორის განცხადებით, აუქციონის ჩატარებისთვის საჭირო თანხა ადვოკატმა თვითონ მოიძია, ერთ კვირაში კი ამ თანხის სარგებლის სახით 600 აშშ დოლარი გამოართვა მას.

ხ. კ-მა 2009 წლის 2 ივნისს ადვოკატის მითითებით, გააფორმა მის სახელზე მინდობილობა, შემდგომშიც არაერთხელ გააფორმა ასეთი მინდობილობა და ნ. კ-ს საადვოკატო მომსახურების თანხა - 3000 აშშ დოლარი გადასცა. ამის შემდეგ ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო აუქციონში. საჩივრის ავტორის აღნიშვნით, ადვოკატმა და მისმა მეუღლემ დაწერეს ხელწერილი ბ. შ-ის წინაშე, რომლის თანახმადაც მას სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა ბ. შ-ის სასარგებლოდ თანხის გადახდა. განმცხადებელმა, მას შემდეგ, რაც გააცნობიერა ადვოკატის მიერ მისი ინტერესების საზიანოდ მოქმედება, გაუუქმა მას მინდობილობა, ხოლო შემდეგ ყოფილი ადვოკატი სასამართლოში თავისი მეუღლის - მ. ბ-ის ინტერესებს წარმოადგენდა ხ. კ-ის წინააღმდეგ.

ამდენად, ხ. კ-ის მითითებით, ნ. კ-ი იყო მისი ადვოკატი, მან გაუწია შუამავლობა, მონაწილეობა მიეღო მის საქმეში, როგორც არბიტრმა, გამოართვა საარბიტრაჟო და საადვოკატო მომსახურების თანხა, ასევე, მის

მიერ გადახდილი აუქციონისთვის საჭირო თანხების პროცენტები და აზომვითი ნახაზების გასაკეთებლად გასაწევი ხარჯები და ამის შემდეგ ადვოკატი გაურიგდა მის მოწინააღმდეგე მხარეს გარკვეული თანხის სანაცვლოდ.

დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომებზე ადვოკატმა ნ. კ-მა საჩივარში მოყვანილი გარემოებები არ დაადასტურა და აღნიშნა, რომ ხ. კ-სა და ნ. გ-ას შორის სეხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას თითქმის არ იცნობდა მეზობლად მცხოვრებ განმცხადებელს, ხოლო ხელშეკრულების მეორე მხარისა და მისი წარმომადგენლის შესახებ არაფერი იცოდა.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით ადვოკატი ნ. კ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ ნორმებისა და “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევა-ჩადენაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34.1. „ბ“ მუხლის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატმა ნ. კ-მა, როგორც მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის “ი-ს” თავმჯდომარემ 2009 წლის 15 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ხ. კ-ის საარბიტრაჟო პრეტენზიის თაობაზე (მოპასუხე ნ. გ-ა, დავის საგანი – თანხის დაკისრება და იპოთეკის საგნის რეალიზაცია). ხ. კ-მა 2009 წლის 31 ივლისს განცხადებით მიმართა ნოტარიუსს 2009 წლის 2 ივნისს რეგისტრირებული რწმუნებულების გაუქმების მოთხოვნით. ასევე, ხ. კ-მა ნ. კ-ს 2010 წლის 27 მაისს მიანიჭა რწმუნებულება 2 კვირის ვადით, ხოლო 2010 წლის 1 ივლისს – 2 თვის ვადით. ადვოკატი ნ. კ-ი იცავდა ხ. კ-ის ინტერესებს ბ. შ-ის სარჩელის გამო წარმოებულ დავაში და დაეხმარა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების აღსრულებაში. ადვოკატი ნ. კ-ი წარმოადგენდა მეუღლის - მ. ბ-ის ინტერესებს 2011 წლის 15 ივნისიდან თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში ხ. კ-ის წინააღმდეგ, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე. მ. ბ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

ეთიკის კომისიამ სადავოდ მიიჩნია ადვოკატ ნ. კ-ის მიერ ხ. კ-თვის საადვოკატო მომსახურების დაწყების თარიღი, მომსახურების პერიოდი და გაწეული სამართლებრივი დახმარების შინაარსი, ვინაიდან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნდათ მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატ ნ. კ-ის მხრიდან დაირღვა ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კნონის მე-2 მუხლი, რომლის

თანახმად, “საადვოკატო საქმიანობა მოიცავს იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი)”. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან, შესაბამისად, 2009 წელს ხ. კ-თვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევისას ნ. კ-სა და ხ. კ-ს შორის წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

ეთიკის კომისიის განმარტებით, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, “დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი”. ამდენად, ეთიკის კომისიამ დაუშვებლად მიიჩნია საადვოკატო მომსახურების გაწევა იმ საქმეზე, რომელზეც პირმა განახორციელა პროფესიული საქმიანობა არბიტრის ან კანონით დადგენილი სხვა სტატუსით. ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, “ადვოკატს უფლება არ აქვს, შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ”, რაც ასევე დარღვეულია ადვოკატ ნ. კ-ის მხრიდან.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა ნ. კ-მა, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა, რომლითაც შეილახა მისი ადამიანური და პროფესიული უფლებები და ინტერესები, ასევე მიადგა მატერიალური ზიანი.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ და ამავე კომისიის წევრებმა უხეშად დაარღვიეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნა და “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-13 მუხლით განსაზღვრული 4-თვიანი ვადის ნაცვლად დისციპლინურ საქმეს აწარმოებდნენ 1 წლისა და 5 თვის განმავლობაში. ასევე დაირღვა ამ უკანონო და გაყალბებული გადაწყვეტილების ჩაბარებისათვის დადგენილი ვადაც, რამდენადაც 2013 წლის 8 იანვრის გასაჩივრებული გადაწყვეტილება საჩივრის ავტორს ჩაბარდა 2013 წლის 23 მაისს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ ნ. კ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 65.1 მუხლის (კანონის ანალოგია) შესაბამისად დადგენილია, რომ სადისციპლინო პალატა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის გათვალისწინებით. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეული არ არის „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, ასევე „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების ნორმები. დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ყოველმხრივ და ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ვინაიდან სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ-ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და „ადვოკატთა შესახებ" კანონის ნორმები, შესაბამისად, ადვოკატის ქმედებებს სრულიად მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და ადვოკატს კანონიერი და სამართლიანი სახდელი დაეკისრა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატმა ნ. კ-მა, როგორც მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის „ი-ს" თავმჯდომარემ 2009 წლის 15 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ხ. კ-ის საარბიტრაჟო პრეტენზიის თაობაზე. ხ. კ-მა 2009 წლის 31 ივლისს განცხადებით მიმართა ნოტარიუსს 2009 წლის 2 ივნისს რეგისტრირებული რწმუნებულების გაუქმების მოთხოვნით. ხ. კ-მა ნ. კ-ს 2010 წლის 27 მაისს მიანიჭა რწმუნებულება 2 კვირის ვადით, ხოლო 2010 წლის 1 ივლისს - 2 თვის ვადით. ადვოკატი ნ. კ-ი იცავდა ხ. კ-ის ინტერესებს ბ. შ-ის სარჩელის გამო წარმოებულ დავაში და დაეხმარა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების აღსრულებაში. ადვოკატი ნ. კ-ი წარმოადგენდა მეუღლის - მ. ბ-ის ინტერესებს 2011 წლის 15 ივნისიდან თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში ხ. კ-ის წინააღმდეგ, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე. მ. ბ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

სადისციპლინო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ-მა უგულებელყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, “დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი“. საჩივრის ავტორმა - ნ. კ-მა, როგორც მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის შპს „ი-ს“ თავმჯდომარემ განიხილა პრეტენდენტ ხ. კ-ის საარბიტრაჟო პრეტენზია მოპასუხე ნ. გ-ას მიმართ და 2009 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოთხოვნა. საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენამდე ნ. კ-მა, როგორც ადვოკატმა, სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია ხ. კ-ს, ხოლო 2009 წლის 2 ივნისს მის სახელზე გაიცა რწმუნებულება, რომელიც გაუქმდა იმავე წლის 31 ივლისს. აღსანიშნავია, რომ რწმუნებულება გაიცა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის დღეს. სადისციპლინო პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება და სააღსრულებო ფურცლის გაცემა ერთიანი პროცესია, რაც მიზნად ისახავს კონკრეტული პრეტენდენტისათვის სამართლებრივი შედეგის მიღებას - გადაწყვეტილების აღსრულებას. ამდენად, სააღსრულებო ფურცლის გაცემის დღესვე მინდობილობის მიღებით ნ. კ-მა გამოხატა თანხმობა, ადვოკატის სტატუსით მიეღო მონაწილეობა იმავე საქმეზე, სადაც როგორც არბიტრს, უკვე შესრულებული ჰქონდა პროფესიული ფუნქცია.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, “ადვოკატს უფლება არა აქვს, შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ”. ამ შემთხვევაში, ადვოკატი ნ. კ-ი თავდაპირველად წარმოადგენდა ხ. კ-ის ადვოკატს ბ. შ-ის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში, რაც სამართლებრივი კონსულტაციების გაცემაში, ხ. კ-ის სახელით გამოსახლების თაობაზე განცხადების დაწერასა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით მიმართვის შედგენაში გამოიხატა. ხ. კ-თან ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ნ. კ-ი გახდა საკუთარი მეუღლის - მ. ბ-ის, ამავე უძრავი ქონების პირველი რიგის იპოთეკარის ადვოკატი, ყოფილი კლიენტის ხ. კ-ის წინააღმდეგ, რაც სესხის თანხის დაკისრებას და ქ. ბათუმში, დიასამიძის ქ. №10-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის შესახებ წარმოებულ დავას შეეხებოდა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. სადისციპლინო პალატამ ამ შემთხვევაშიც გაიზიარა ეთიკის კომისიის განმარტება, რომ კლიენტისა და ადვოკატის

სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს კვლავ გააჩნია გარკვეული ვალდებულებები ყოფილი კლიენტის მიმართ, როგორიცაა კონფინეციალურობისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებათა დაცვა. ასევე, ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ იმ კლიენტისათვის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან არსებითად სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დასახმარებლად მიმართა (კლიენტი)”. აქედან გამომდინარე, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან. ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წელს ხ. კ-თვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევისას ნ. კ-სა და ხ. კ-ს შორის წარმოიშვა ადვოკატ კლიენტის ურთიერთობა.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მოთხოვნას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, იმ მოტივით, რომ ეთიკის კომისიის წევრებმა დაარღვიეს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მოთხოვნები ყოვლად უსაფუძვლოდ, განხილვის ვადების დარღვევით და კანონის პროცედურული ნორმების უგულებელყოფით მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც საჩივრის ავტორს ჩაბარდა 2012 წლის 26 დეკემბრის სხდომიდან ხუთი თვის შემდეგ - 2013 წლის 23 მაისს, სადისციპლინო პალატა ნაწილობრივ იზიარებს და მიიჩნევს, რომ ეთიკის კომისიის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევებით და განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატის მიმართ დისციპლინურ დევნას აღძრავს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, რომელიც ინფორმაციის შემოსვლიდან ერთი თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების მინდინარეობა ორ ეტაპად, რომელიც ხორციელდება საპროცესო კოლეგიაში და შემდეგ განხილვის კოლეგიაში. ამავე დებულების მე-13 მუხლის თანახმად, საპროცესო კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჩივრის ან მიმართვის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო განხილვის კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან სამი თვის ვადაში.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ნ. კ-ის მიმართ საჩივარი ეთიკის კომისიაში შეტანილ იქნა 2011 წლის 1 დეკემბერს, დისციპლინური დევნა აღიძრა კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში - 2012 წლის 3 იანვარს, ხოლო საბოლოო

გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ იქნა 2013 წლის 8 იანვარს, ანუ დევნის აღძვრიდან არა 3 თვის, არამედ ერთი წლის შემდეგ. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. კ-ს ჩაბარდა 2013 წლის 23 მაისს - ხუთი თვის დაგვიანებით, მაშინ, როცა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 20-ე მუხლი ითვალისწინებს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის გაგზავნას გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში.

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა თ. ხ-მა მიუთითა რომ პროცესუალურ დარღვევებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ საქმის განხილვის გაჭიანურება ნაწილობრივ გამოწვეული იყო სხდომის რამდენიმეჯერ გადადებით, რადგან ეთიკის კომისიის რამდენიმე წევრმა თვითაცილება განაცხადა. ასეთ შემთხვევაში, ეთიკის კომისია საქმის განხილვას აჩერებს, რაც არ შედის საქმის განხილვის საერთო ვადაში. მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, საქმის განხილვის გაჭიანურებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია გადაწყვეტილების მიღებაზე, იმდენად, რამდენადაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონშესაბამისია.

სადისციპლინო პალატა იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროცედურულ დარღვევებს, კერძოდ, ეთიკის კომისიამ უგულებელყო „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების შესაბამისი პროცედურული ნორმები და გადაწყვეტილება მიიღო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების ჩაბარებისათვის დადგენილი ვადების დარღვევით, რაზეც ხაზგასმით მიუთითებს ეთიკის კომისიას. თუმცა მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროცედურული დარღვევები ვერ გახდება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სადისციპლინო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის – საადვოკატო საქმიანობის უფლების ექვსი (6) თვის ვადით ჩამორთმევის მართებულობას და განმარტავს, რომ საქმის განმხილველი ორგანო დისციპლინური სახდელის შერჩევისას უნდა ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის შინაარსს და სიმძიმეს, შედეგებს, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხსა და ადვოკატის პიროვნებას, საქმიან და მორალური რეპუტაციას, რაც სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნა სრულიად სამართლიანად. ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომების შესაბამისია.

ამდენად, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. შესაბამისად, საჩივრის ავტორის ნ. კ-ის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტით, 70-ე მუხლით (კანონის ანალოგია) და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ნ. კ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად იქნეს დატოვებული სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე	/მაია ვაჩაძე/
მოსამართლეები:	/ვასილ როინიშვილი/
	/ნუგზარ სხირტლაძე/